მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი

2023-2024

სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

იმედი, შენი პროფესიული არჩევანი!

მისია, ხედვა, ღირებულებები

მისია
თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების, სახელმწიფოს პრიორიტეტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება; მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების შესაძლებლობის ხელშეწყობა; პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე/თანამშრომლებზე ორიენტირებული თანამედროვე სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა; კოლეჯსა და რეალურ ბიზნესს შორის მყარი, ურთიერთეფექტური თანამშრომლობის მექანიზმების განვითარება; შეთავაზებული მრავალპროფილიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საზოგადოების მოთხოვნებთან და შრომის ბაზართან ჰარმონიზაცია.

ხედვა
კოლეჯსა და ბიზნესს შორის მყარი, ურთიერთეფექტური პარტნიორობით 2027 წლისთვის იყოს ერთ-ერთი წარმატებული მრავალპროფილიანი კოლეჯი, რომელიც რეალურ ხარისხზეა ორიენტირებული. უზრუნველყოს დაინტერესებულ პირთათვის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების განვითარება, სწავლის პერიოდშივე პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რეალურ სამუშაო პროცესებში ჩართვა, ინოვაციების, გამოცდილებისა და რესურსების ურთიერთგაზიარება.

ღირებულებები
კოლეჯის საქმიანობის პრინციპები და წესები უზრუნველყოფს სამართლიანი, ჰუმანური, თანასწორი, კონკურენტუნარიანი, ხელმისაწვდომი, პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე/თანამშრომელზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამუშაო გარემოს არსებობას, სადაც ყველას აქვს არჩევანის, ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღების და თვითგამოხატვის თავისუფლება.

მოკლე შეჯამება

მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი „იმედი“ ყოველწლიურად ამუშავებს სამოქმედო გეგმას, რომლის მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა, პროფესიული პროგრამების გაძლიერება, სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემური განვითარება და პარტნიორული ქსელის გაფართოება.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2023 წლის 23 სექტემბრიდან 2024 წლის 23 სექტემბრამდე განხორციელებულ საქმიანობას. დოკუმენტი შედგენილია შიდა მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით და განხილულია ადმინისტრაციასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან; პროცესში მონაწილეობდნენ პარტნიორი ორგანიზაციებიც.

სამოქმედო გეგმის 53 აქტივობიდან 51 შესრულდა სრულად, ხოლო 2 ამოცანაზე საჭიროება არ დადგა (გეგმაშიც აღნიშნული იყო „საჭიროებისამებრ“ სტატუსით). შესაბამისად, შესრულების მაჩვენებელი შეადგენს დაახლოებით 96.2%-ს, რაც ადასტურებს გეგმის თითქმის სრულად შესრულებას და კოლეჯის ეფექტიან მუშაობას.

სტრატეგიული მართვა და გეგმის ციკლი

რა გაკეთდა:
2023 წელს კოლეჯში მენეჯმენტის ციკლი დაგეგმვა–განხორციელება–მონიტორინგი–გაუმჯობესება წარიმართა ერთიანი მიდგომით: პროცესში ჩართული იყვნენ ადმინისტრაცია, სტუდენტები, სასწავლო პერსონალი და დამსაქმებელი პარტნიორები. დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის საფუძველზე ჩამოყალიბდა 2023–2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა; განხილული იქნა 2022–2023 წლების ანგარიშის შესრულება და დაზუსტდა ხარისხის მართვის სამსახურის სამუშაო გრაფიკი.

რატომ იყო მნიშვნელოვანი:
მონაწილეობაზე დაფუძნებულმა დაგეგმვამ გააძლიერა მიზნების რეალურობა და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილება; მენეჯმენტის პროცესები გახდა უფრო პროგნოზირებადი.
აღნიშნული მიდგომა აადვილებს გადაწყვეტილებების მიღებას და ანგარიშვალდებულებას; გაძლიერდა შიდა კოორდინაცია და დროული რეაგირების მექანიზმები.

ხარისხის მართვა, მონიტორინგი და ვერიფიკაცია

დამტკიცდა 2024 წლის ვერიფიკაციის გეგმა; განისაზღვრა რისკ-ჯგუფები და შედგა მონიტორინგის განრიგი. შიდა მონიტორინგის ჯგუფი სისტემატურად ესწრებოდა ლექციებსა და შედეგების დადასტურებას; მომზადდა ანალიზის დოკუმენტი რეკომენდაციებით და გავრცელდა ყველა დაინტერესებულ მხარეზე. ვერიფიკაცია ხორციელდებოდა გეგმურად; შედეგები გაცნობილ იქნა როგორც ადმინისტრაციას, ისე პროფესიულ მასწავლებლებს.

რატომ იყო მნიშვნელოვანი:
ვერიფიკაციამ და მონიტორინგმა უზრუნველყო შეფასების ობიექტურობა, პროცედურების სტანდარტიზაცია და გაუმჯობესების მიმართულებების დროული იდენტიფიცირება.
რა მოუტანა კოლეჯს:
გაიზარდა გამჭვირვალობა, გამყარდა შეფასების ინსტრუმენტების ხარისხი

პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარება

საანგარიშო პერიოდში კოლეჯი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ახალი პროფესიული მასწავლებლების ინტეგრაციას სასწავლო გარემოში. ამ მიზნით ჩატარდა როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური ტრენინგები, სადაც დამწყებ პედაგოგებს გაეცნენ კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკას, კალენდარული გეგმების მართვის წესებს, შეფასების ინსტრუმენტების შედგენის პრინციპებსა და მტკიცებულებების შეგროვების პროცესს.

ტრენინგების მიზანი იყო, რომ ახალი პროფესიული მასწავლებლები ადვილად და სწრაფად ჩართულიყვნენ სასწავლო პროცესში, შეძლებოდათ კოლეჯის ხარისხის სტანდარტებთან ადაპტირება და ეფექტური მუშაობა. ამასთან, პროცესში ჩართული იყო როგორც ადმინისტრაცია, ისე გამოცდილი პროფესიული მასწავლებლები, რომლებიც ასრულებდნენ მენტორის როლს.

აღნიშნული პრაქტიკა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, აძლიერებს კოლეგიალურ თანამშრომლობას და საბოლოო ჯამში აუმჯობესებს სასწავლო პროცესის ხარისხს.

პროგრამების განხორციელების მონიტორინგი და შეფასება

საანგარიშო წლის განმავლობაში კოლეჯში სისტემატურად ხორციელდებოდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგი. პროცესში ჩართული იყო როგორც შიდა მონიტორინგის ჯგუფი, ისე გარე დარგის სპეციალისტები, რომლებიც შემთხვევითობის პრინციპით არჩევდნენ შეფასების ინსტრუმენტებს და მათ ვერიფიკაციას ახორციელებდნენ. ყოველი მონიტორინგის შედეგი მუშავდებოდა და მზადდებოდა რეკომენდაციები, რომლებიც წარდგენილი იყო როგორც ადმინისტრაციისთვის, ისე პროფესიული მასწავლებლებისთვის.
მიმდინარე მონიტორინგმა აჩვენა, რომ პროგრამები სრულად თავსებადია ავტორიზაციის სტანდარტებთან და უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას. სტუდენტთა და პროფესიული მასწავლებლების ანონიმური გამოკითხვებიც მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო პროგრამების შეფასების პროცესში. გამოკითხვის შედეგებმა ცხადყო, რომ სტუდენტთა უმრავლესობა კმაყოფილია სწავლა-სწავლების პროცესით და მიიჩნევს, რომ კოლეჯში მიღებული განათლება ხელს უწყობს მათ დასაქმებასა და კარიერულ განვითარებას. პროფესიული მასწავლებლების მხრიდან გამოხატული იყო გარკვეული საჭიროებები ინფრასტრუქტურისა და სასწავლო რესურსების მიმართულებით, რომელთა გათვალისწინება უკვე აისახა მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში.
სისტემური მონიტორინგისა და შეფასების შედეგად კოლეჯმა შეძლო უზრუნველეყო სწავლის პროცესის გამჭვირვალობა, ეფექტიანობა და ხარისხი, ხოლო რეგულარული უკუკავშირი დაეხმარა როგორც სტუდენტებს, ისე მასწავლებლებს სწავლისა და სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

საანგარიშო წელს კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებმა გამოიწვია სტუდენტთა მნიშვნელოვანი ინტერესი, რის შედეგადაც ჩარიცხვის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალი იყო. პროგრამების საშუალო შევსებადობა 95%-ს მიაღწია, რაც ნათლად ადასტურებს, რომ კოლეჯის მიერ შეთავაზებული სასწავლო პირობები, შერჩეული პროგრამული შინაარსი და დამყარებული პარტნიორული კავშირები სრულ თანხვედრაშია როგორც შრომის ბაზრის საჭიროებებთან, ისე სტუდენტთა მოლოდინებსა და პროფესიულ ინტერესებთან.

პროგრამები:

- ფარმაცია(სააფთიაქო)
- საექთნო საქმე
- აღმზრდელი
- ინფორმაციის ტექნოლოგია
- საფინანსო სერვისები

Your name won’t be shared. Never submit passwords. | 0 votes

ადმინისტრაციული მხარდაჭერა, კარიერული ხელშეწყობა და დამსაქმებლებთან ურთიერთობა

საანგარიშო პერიოდში კოლეჯმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სტუდენტთა კარიერული განვითარების ხელშეწყობასა და დამსაქმებლებთან პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებას. ამ მიმართულებით განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობდა როგორც სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას, ასევე კოლეჯის რეპუტაციის განმტკიცებას შრომის ბაზარზე.

მიმდინარე წელს კოლეჯში გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან, მათ შორის საფინანსო, ფარმაცევტულ და სხვა სფეროებში მოქმედ კომპანიებთან. პარტნიორებთან თანამშრომლობა ითვალისწინებდა სტუდენტთა დასაქმების პერსპექტივების განხილვას, პრაქტიკული სწავლის შესაძლებლობების გაძლიერებას და ახალი ინიციატივების დაგეგმვას.

სტუდენტთა კარიერული მზაობის ამაღლების მიზნით ორგანიზებულ იქნა სპეციალური ტრენინგები თემაზე „როგორ მოვემზადოთ გასაუბრებისთვის“. ტრენინგების დროს განხილული იყო თვითპრეზენტაციის ტექნიკა, დამსაქმებლების მიერ ყველაზე ხშირად დასმული კითხვების ეფექტიანი პასუხების სტრატეგიები და კომუნიკაციის კულტურა. აღნიშნულმა ტრენინგებმა სტუდენტებს მისცა პრაქტიკული უნარები, რომლებიც მათ მომავალ დასაქმებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

კოლეჯმა შექმნა მიზნობრივი არხები კურსდამთავრებულებისა და სტუდენტებისათვის, სადაც სისტემატურად განთავსდება შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიები. ეს ინიციატივა უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ მიწოდებას და ზრდის სტუდენტთა შესაძლებლობას, კონკურენტულ გარემოში სწრაფად მოიძიონ დასაქმების შესაძლებლობები.

კოლეჯში ტრადიციულად გაიმართა პროფესიულ მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთობლივი კონფერენცია. ღონისძიება მნიშვნელოვანი პლატფორმა აღმოჩნდა გამოცდილების გაზიარებისა და ინოვაციური მიდგომების წარსადგენად. კონფერენციამ ხელი შეუწყო სტუდენტებისა და პედაგოგების პროფესიულ განვითარებას, ცოდნის სისტემატიზაციასა და თანამშრომლობითი გარემოს გაძლიერებას.

შრომის უსაფრთხო გარემო

საანგარიშო წლის განმავლობაში კოლეჯში მუდმივად ხდებოდა შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა და რისკების პრევენცია. უსაფრთხოების სპეციალისტის კოორდინაციით რეგულარულად მოწმდებოდა შენობების ელექტრო და გათბობის სისტემები, შიდა და გარე განათება, ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია და ცეცხლმაქრების ვარგისიანობა. თანამშრომლებსა და სტუდენტებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟები უსაფრთხოების წესებზე, გაიმართა პრაქტიკული სწავლებები და საგანგებო სიტუაციების იმიტაციები, მათ შორის ხანძრის შემთხვევაში სწრაფი ევაკუაციის ვარჯიში. აღნიშნულმა ღონისძიებებმა უზრუნველყო სასწავლო გარემოს უსაფრთხოება და რისკების მინიმუმამდე დაყვანა.

მატერიალური რესურსების მართვა

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მართვის კუთხით, საანგარიშო წლის განმავლობაში განხორციელდა არსებული ინვენტარის პერიოდული შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში მისი განახლება. ლაბორატორიებში და სასწავლო აუდიტორიებში ხდებოდა ტექნიკური აღჭურვილობის მოდერნიზაცია, რაც ზრდიდა სწავლების ეფექტიანობასა და ინფრასტრუქტურის გამტარიანობას. შეძენილი და მოწესრიგებული ინვენტარი უზრუნველყოფდა თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამის სასწავლო გარემოს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტის გამართული განხორციელებისთვის.

დოკუმენტბრუნვა და საქმისწარმოება

საქმისწარმოების სამსახური სისტემატურად ახორციელებდა კორესპონდენციის რეგისტრაციას, დიპლომებისა და დანართების აღრიცხვას, სტუდენტთა მონაცემების ასახვას EMIS სისტემაში და დოკუმენტების შენახვის დადგენილი წესის შესაბამისად. მიღებულ სტუდენტებთან/მსმენელებთან გაფორმდა ხელშეკრულებები, მოწესრიგდა მათი პირადი საქმეები. ამ პროცესებმა უზრუნველყო დოკუმენტბრუნვის გამართულობა და ინფორმაციის სწრაფი მოძიების შესაძლებლობა.

საზოგადოებასთან ურთიერთობა და პროფორიენტაცია

- საანგარიშო წლის განმავლობაში კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი აქტიურად იყო ჩართული სკოლებსა და ადგილობრივ საზოგადოებაში საინფორმაციო კამპანიების განხორციელებაში. მოეწყო პროფორიენტაციის შეხვედრები, სადაც მოსწავლეებსა და მშობლებს დეტალურად გააცნეს პროფესიული განათლების მნიშვნელობა, კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამები და მათთან დაკავშირებული დასაქმების პერსპექტივები.

- ვიზიტები სკოლებში ხელს უწყობდა პროფესიული განათლების პოპულარიზაციას და ახალგაზრდებისთვის სწორი არჩევანის გაკეთებას. აღნიშნული აქტივობები პირდაპირ აისახა ახალი მიღების შედეგებზე — კოლეჯში მომართვიანობა გაიზარდა და გაიზარდა იმ სტუდენტთა წილი, რომლებმაც არჩევანი გააკეთეს ადგილობრივ შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებზე.

- პროფორიენტაციისა და კარიერული მხარდაჭერის მიმართულებით სისტემატურად მიმდინარეობდა შრომის ბაზრის კვლევების შესწავლა და ვაკანსიების მოძიება, რომლებიც სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მიეწოდებოდა როგორც ელექტრონული ფოსტის, ასევე სოციალური ქსელების საშუალებით. დამატებით, განხორციელდა CV-ს შედგენასა და გასაუბრებისთვის მზადებაში დახმარება, რაც სტუდენტთა დასაქმების მზაობას მნიშვნელოვნად ზრდიდა.

ბიბლიოთეკა და სასწავლო რესურსები

საანგარიშო წლის განმავლობაში კოლეჯის ბიბლიოთეკაში წიგნადი ფონდი შეივსო და განახლდა, არსებული ლიტერატურა დამუშავდა საბიბლიოთეკო წესებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. პარალელურად, მოხდა მოდულებთან შესაბამისობის გადამოწმება და საჭიროებისამებრ მოიძებნა ახალი ელექტრონული რესურსები. ბიბლიოთეკა აქტიურად ემსახურებოდა როგორც პროფესიულ სტუდენტებს, ისე პროფესიულ მასწავლებლებს, რაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს სასწავლო პროცესის გამართულად წარმართვას და ხარისხიან რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. მომავალ წელს დაგეგმილია ახალი საგანმანათლებლო პროგრამების მხარდასაჭერად სპეციალური წიგნადი ფონდის შევსება.

IT მხარდაჭერა და დიგიტალური კომუნიკაცია

ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი უზრუნველყოფდა კოლეჯის ვებგვერდისა და სოციალური ქსელების განახლებას და ტექნიკურ მონიტორინგს. საჭიროების შემთხვევაში ხორციელდებოდა პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია და კომპიუტერული ტექნიკის ტექნიკური მომსახურება. ყველა ღონისძიება იმართებოდა შესაბამისი ტექნიკური უზრუნველყოფით, რამაც ხელი შეუწყო როგორც სასწავლო პროცესის უწყვეტობას, ისე ადმინისტრაციული საქმიანობის გამართულობას.

ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ჩართულობა და კოლეჯის შიდა რეგულაციებში გათვალისწინებული წესები იძლევა გარანტიას, რომ საჭიროების შემთხვევაში მოხდება სასწავლო პროცესის პერსონალიზაცია, სპეციალური მომსახურების შეთავაზება და ინდივიდუალური სასწავლო რესურსების შემუშავება.საანგარიშო წლის განმავლობაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტის სწავლების აუცილებლობა არ დამდგარა. მუდმივი მზადყოფნა ინკლუზიური განათლების მიმართულებით წარმოადგენს კოლეჯის პასუხისმგებლობას სოციალური სამართლიანობისა და თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფის კუთხით. ეს ქმნის პოზიტიურ გარემოს, სადაც თითოეულ სტუდენტს ექნება შესაძლებლობა სრულფასოვნად ისარგებლოს საგანმანათლებლო პროგრამებით.

ფინანსური მდგრადობა

- საანგარიშო წლის განმავლობაში კოლეჯმა შეინარჩუნა ფინანსური მდგრადობა, რომელიც დაფუძნებულია როგორც ბუღალტრული აღრიცხვის გამართულ სისტემაზე, ისე გონივრულ ფინანსურ დაგეგმვასა და რესურსების მიზნობრივ ხარჯვაზე. ფინანსური სამსახური უზრუნველყოფდა მიმდინარე ოპერაციების გამჭვირვალობას, ანგარიშგების დროულ მომზადებასა და ბიუჯეტური გეგმების შესრულებას.

- კოლეჯის ფინანსური პოლიტიკა ემყარებოდა კვოტების სრულ შევსებას, რაც უზრუნველყოფდა დაწესებულების ოპერირების მინიმალური რენტაბელობის ზღვრის დაცვას. შედეგად, არ არსებობდა ფინანსური დეფიციტის რისკი და შესაძლებელი გახდა როგორც მიმდინარე საქმიანობის გამართულად წარმართვა, ასევე განვითარების პროექტების მხარდაჭერა.

- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხარჯვის ეფექტიანობას — რესურსების განაწილება განხორციელდა პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, მათ შორის: სასწავლო გარემოს გაუმჯობესება, ინვესტიცია ტექნიკურ და მატერიალურ ბაზაში, პერსონალის განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნულმა პროცესებმა მნიშვნელოვნად გაამყარა კოლეჯის პოზიციონირება როგორც სანდო და სტაბილური საგანმანათლებლო დაწესებულების.

- ფინანსური მდგრადობის შენარჩუნება და პარალელურად განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ გარანტიას, რომ კოლეჯის სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესები წარიმართა შეუფერხებლად და განსაზღვრული სტრატეგიული მიზნების შესაბამისად.

კურსდამთავრებულთა დასაქმება



დასაქმებულთა სტატისტიკის მიხედვით, კოლეჯის კურსდამთავრებულთა **63%** საქმიანობს უშუალოდ საკუთარ პროფესიულ მიმართულებაში, **20%** დასაქმებულია სხვა სფეროში, **9%** აგრძელებს სწავლას, ხოლო **5%**-ის სტატუსი გაურკვეველია. აღნიშნული მონაცემი ცხადყოფს, რომ უმრავლესობა წარმატებით ახორციელებს მიღებული განათლების გამოყენებას შრომის ბაზარზე, რაც ადასტურებს კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანობას და მათი შესაბამისობას ბაზრის მოთხოვნებთან.

დასაქმებულთა სტატისტიკის მიხედვით, კოლეჯის კურსდამთავრებულთა **83%** პროცენტი დასაქმებულია

მრავალპროფილიანი
საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი

მონიტორინგის შედეგებმა ცხადყო, რომ კოლეჯის სტრუქტურულმა ერთეულებმა ეფექტიანად შეძლეს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულება. აქტივობების უმეტესობა სრულად განხორციელდა, ხოლო გარკვეულ საკითხებზე მუშაობა გაგრძელდება მომდევნო პერიოდშიც. პარალელურად გამოიკვეთა მიმართულებები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებასა და შემდგომ განვითარებას, რათა კოლეჯის საქმიანობა კიდევ უფრო ეფექტიანი გახდეს.

WWW.COLLEGEIMEDI.EDU.GE
WWW.IMEDIPROF.EDU.GE

2023-2024

შპს მრავალპროფილიანი საზოგადოებრივი კოლეჯი იმედი
2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

N	აქტივობები შენიშვნა: "ს" ნიშნით აღნიშნულია აქტივობები, რომლებიც განხორციელდება საჭიროებისამებრ.	წელიწადის თვე													მირითადი ინდიკატორები/ სამიზნე ნიშნულები/შესრულების მტკიცებულებები		საჭირო რესურსი			შესრულების სტატუსი
		IX	X	XI	XII	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX			ადამიანური		ფინანსური	მატერიალური რესურსი
		2023-2024														პასუხისმგებელი პირ(ებ)ი	შემსრულებლები/პროცესში ჩართული პირები	დაფინანსების ოდენობა/დაფინანსების წყარო		
1. სტრატეგიული მიზანი - ორგანიზაციული განვითარება																				
	ამოცანა 1.1. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება-განხორციელება-განვითარება																			
1.1.1.	ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის მომზადება												*		სამოქმედო გეგმის (ერთწლიანი) ანგარიში; კოლეჯის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ანგარიში.	დირექტორი	კოლეჯის პერსონალი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
1.1.2.	ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება/დამტკიცება												*	*	დირექტორის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა (ერთწლიანი); სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები; კოლეჯის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული გეგმა.	დირექტორი	კოლეჯის პერსონალი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ; პარტნიორი ორგანიზაციებიდან მოწვეული პირები;კურსდამთავრებულები	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
1.1.3.	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი						*						*		მონიტორინგისა და შეფასების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტები/სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესტრულების ანგარიში; შეფასების შედეგებზე რეაგირების მტკიცებულებები.	დირექტორი	კოლეჯის პერსონალი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
1.1.4.	კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების სინქრონიზაცია არსებულ რეგულაციებთან	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ცვლილებებით დამტკიცებული მარეგულირებელი დოკუმენტები	ხარისხის მართვის მენეჯერი	დირექტორი; კოლეჯის პერსონალი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
ამოცანა 1.2. ხარისხის უზრუნველყოფა (დაგეგმვა, განხორციელება,შეფასება, განვითარება)																				

1.2.1.	2022-2023 წ.ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის შედგენა, დამტკიცება			*											კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა 2022-2023წწ.	ხარისხის მართვის მენეჯერი	დირექტორი; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	
1.2.2.	ადმინისტრაციის თანამშრომელთა და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების, საჭიროებების კვლევა		*									*			კითხვარები; ჩატარებული კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; კვლევის შედეგები/ანალიზი;	ხარისხის მართვის მენეჯერი	საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი; კოლეჯის პერსონალი საკუთრი კომპეტენციის ფარგლებში	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
1.2.3.	პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილების, საჭიროებების კვლევა		*					*				*	*		კითხვარები; ჩატარებული კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; კვლევის შედეგები/ანალიზი	ხარისხის მართვის მენეჯერი	სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის სპეციალისტი	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
1.2.4.	მიწოდებული სერვისებისა და რესურსების ხარისხის შეფასება					*							*		კითხვარები; ჩატარებული კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; კვლევის შედეგები/ანალიზი;	ხარისხის მართვის მენეჯერი	კოლეჯის პერსონალი საკუთრი კომპეტენციის ფარგლებში	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
1.2.5	საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასების განხორციელება					*	*					*			კითხვარები; ჩატარებული კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; კვლევის შედეგები/ანალიზი; საჭიროების შემთხვევაში განვითარების გეგმა	ხარისხის მართვის მენეჯერი	სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელი; პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
1.2.6.	კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევა							*					*		კითხვარები; ჩატარებული კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; კვლევის შედეგები/ანალიზი;	ხარისხის მართვის მენეჯერი	სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
1.2.7.	მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ხარისხის შეფასება			*				*				*			კითხვარები; ჩატარებული კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; კვლევის შედეგები/ანალიზი; საჭიროების შემთხვევაში განვითარების გეგმა	ხარისხის მართვის მენეჯერი	მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა

1.2.8.	შეფასების სისტემის ვერიფიკაცია				ს	ს									ვერიფიკაციის გეგმა; ვერიფიკაციის დასკვნა; საჭიროების შემთხვევაში განვითარების გეგმა	ხარისხის მართვის მენეჯერი	დარგის სპეციალისტები	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
1.2.9.	ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გარე შეფასება						*	*							გარე შემფასებლის დასკვნა; საჭიროებისამებრ განხორციელებული ცვლილებების შესაბამისი დოკუმენტაცია	დირექტორი;ხარის ხის მართვის მენეჯერი	ნეული გარე შემფასებელ	ზეეეეეეეეეეეეეეე	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
ამოცანა 1.3.ადამიანური რესურსების განვითარება																				
1.3.1.	ადმინისტრაციის თანამშრომელთა, პროგრამის განმახორციელებელ პირთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა(ტრენინგები, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, სასერთიფიკატო კურსები და სხვა)			*	ს	ს	ს	ს	*	ს	ს	ს	ს	*	პერსონალის განვითარების ღონისძიებების გარიგი/გეგმა; ტრენინგები, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, სასერთიფიკატო კურსები და სხვა ჩატარების დამადასტურებელი მტკიცებულებები:სერტიფიკატები, დასწრების მტკიცებულებები	საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	დირექტორი; ფინანსური მენეჯერი; კოლეჯის პერსონალი საკუთრი კომპეტენციის ფარგლებში	5000 ლარი კოლეჯის ბიუჯეტიდან	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
1.3.2.	თიმბილდინგი/კორპორატიული ღონისძიებების განხორციელება												*		შესაბამისი ღონისძიებების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	დირექტორი; ფინანსური მენეჯერი; კოლეჯის პერსონალი საკუთრი კომპეტენციის ფარგლებში	2000 ლარი/კოლეჯის ბიუჯეტიდან	გარე სივრცე	შესრულდა
1.3.3.	კოლეჯის შინაგანაწესისა და სხვა მარეგულირებელი წესების გაცნობა		*				*								დასწრების ფურცლები, საინფორმაციო შეხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია	საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	დირექტორი; კოლეჯის პერსონალი საკუთრი კომპეტენციის ფარგლებში	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
1.3.4.	ახალი პერსონალის მოზიდვა(ადმინისტრაცია, პროგრამის განმახორციელებელი პირები)	*	*												გაფორმებული ხელშეკრულებები	საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	დირექტორი; პროგრამის ხელმძღვანელები	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
1.3.5.	ახალ თანამშრომელთა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სოციალიზაცია ადაპტაციის ხელშეწყობა	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	საინფორმაციო შეხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია	საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	დირექტორი; კოლეჯის პერსონალი საკუთრი კომპეტენციის ფარგლებში	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა

1.3.6.	პროფესიულ განათლების მასწავლებელთა ინტეგრირება დარგობრივ ქსელებში/დარგობრივი ქსელების შესაძლებლობების გამოყენება		ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	სხვადასხვა მიმართულებით დარგობრივ ქსელებში ჩართული პროფესიული მასწავლებლები	სასწავლო მართვის მენეჯერი	დირექტორი; პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამის განმახორციელებელი პირები	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
ამოცანა 1.4. კოლეჯის თვითშეფასება																				
1.4.1	კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების მონიტორინგი													*	სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება; მარეგულირებელი დოკუმენტებში შეტანილია ცვლილებები საჭიროებისამებრ	დირექტორი	დირექტორის ბრძნებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი; კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალი/მოწვეული ექსპერტი;კოლეჯის პერსონალი საკუთარი	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
1.4.2.	თვითშეფასების განხორციელება													*	დირექტორის ბრძანებით შემქნილია სამუშაო ჯგუფი;ჩატარებულია თვითშეფასება	დირექტორი	დირექტორის ბრძნებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი;ხარისხის მართვის მენეჯერი;კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალი/მოწვეული ექსპერტი;კოლეჯის პერსონალი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
სტრატეგიული მიზანი 2. საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების ხარისხის განვითარება																				
ამოცანა 2.1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განახლება, განხორციელება																				
2.1.1.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების, დარგის სიახლეების მოძიების მტკიცებულებები/ანგარიში; სამუშაო შეხვედრების მტკიცებულებები; საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების განხორციელების მტკიცებულებები	პროგრამის ხელმძღვანელები	დირექტორი; სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; მოდულის განმახორციელებელი პირები, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირები.	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
2.1.2.	ახალი პროფესიული მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების შემუშავება/უფლების მოპოვება/განხორციელება	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	არანაკლებ ერთი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა; პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების მტკიცებულება	სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი	დირექტორი; ფინანსური მენეჯერი; კოლეჯის პერსონალი საკუთრი კომპეტენციის ფარგლებში	1500 ლარი/კოლეჯის ბიუჯეტი	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა

2.1.3.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	პროფესიულ სტუდენტთა მიღება ვაუჩერული დაფინანსების წესის შესაბამისად; ვაუჩერული დაფინანსების მიღების ფინანსური დოკუმენტები	დირექტორი	სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, ფინანსური მენეჯერი; კოლეჯის პერსონალი საკუთრი კომპეტენციის ფარგლებში	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
2.1.4.	თანამშრომლობის გაფართოება პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/პროფესიულ საგანმანათლეებლო დაწესებულებასთან	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	პარტნიორობის შესახებ გაფორმებული არანაკლებ ერთი მემორანდუმი/ხელშეკრულება; გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის ხელშემწყობისათვის პარტნიორ ორგანიზაციებთან/ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან შეხვედრების ორგანიზება	დირექტორი	სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელები; კოლეჯის პერსონალი საკუთრი კომპეტენციის ფარგლებში	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
2.1.5.	შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტები; ვალიდაციის შევსებული კითხვარები.	სასწავლო მართვის მენეჯერი	პროგრამის ხელმძღვანელები,მოდულის განმახორციელებელი პირები და სხვა პირები საჭიროების შემთხვევაში	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
სტრატეგიული მიზანი 3. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება																				
ამოცანა 3.1. ელექტრონული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება																				
3.1.1.	ოფიციალური ვებ-გვერდის /სოციალურ ქსელში არსებული გვერდის მუდმივად განახლება	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*		*	კოლეჯის ვებგვერდი და მასზე განთავსებული ინფორმაცია' კოლეჯის სოციალური ქსელი და მასზე განთავსებული ინფორმაცია; ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიში ვებგვერდზე/სოც. ქსელში განთავსებული ინფორმაციის ანალიზისა და	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი,	დირექტორი; IT სპეციალისტი; ფინანსური მენეჯერი; კოლეჯის პერსონალი საკუთრი კომპეტენციის ფარგლებში	2000 ლარი/კოლეჯის ბიუჯეტიდან	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
3.1.2.	პროგრამების კატალოგის განახლება							*							განახლებული კატალოგი 2024-25; კოლეჯის ვებგვერდზე ატვირთული კატალოგი	სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი	დირექტორი; საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, IT სპეციალისტი;	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
3.1.3.	ელექტრონული სწავლების მიდგომების გამოყენება	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ელექტრონული ფორმატით ჩატარებული სასწავლო აქტივობების მტკიცებულებები; ონლაინ პლატფორმით სარგებლობის მტკიცებულება-სასასწრაფო	სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი	დირექტორი; IT სპეციალისტი; პროგრამის ხელმძღვანელები; ფინანსური მენეჯერი;	1200 ლარი/კოლეჯის ბიუჯეტიდან	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
3.1.4.	ინფორმაციის დაცვა და ელექტრონული რისკების მართვა	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	IT რისკების შეფასების ანგარიშები; სტრატეგიული ინფორმაციის სარეზერვო ასლები.	IT სპეციალისტი	დირექტორი; მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი; ფინანსური მენეჯერი; კოლეჯის პერსონალი საკუთრი კომპეტენციის	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა

3.1.5.	IT ინფრასტრუქტურის განვითარება	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	IT ინფრასტრუქტურის შეფასების ანგარიში; საჭიროების შემთხვევაში ახალი ტექნიკის შესყიდვის დოკუმენტები; არსებული IT ინფრასტრუქტურის განახლების მტკიცებულებები (ინვენტარის ბალანსის	IT სპეციალისტი	დირექტორი; მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი; ფინანსური მენეჯერი; კოლეჯის პერსონალი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში	5000 ლარი/კოლეჯის ბიუჯეტიდან	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
ამოცანა 3.2. მატერიალური რესურსების განვითარება																				
3.2.1.	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის/დარგობრივი ლაბორატორიების განახლება	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	გამართულ მდგომარეობაში მყოფი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ლაბორატორიების განვითარების მიზნით ინვენტარის შესყიდვის	მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი	დირექტორი; ფინანსური მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელები; პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები	10000 ლარი/კოლეჯის ბიუჯეტიდან	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
ამოცანა 3.3. საბიბლიოთეკო რესურსების განვითარება																				
3.3.1.	საბიბლიოთეკო ფონდის გაახლება და გამდიდრება /საბიბლიოთეკო სერვისების გაუმჯობესება, საგანმანათლებლო რესურსების ვებ-გვერდზე განთავსება)	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და	ბიბლიოთეკარი	დირექტორი; IT სპეციალისტი; ფინანსური მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელები; პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები	500 ლარი/კოლეჯის ბიუჯეტიდან	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
3.3.2.	ადაპტირებული რესურსის შემუშავება	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	საჭიროებისამებრ შემუშავებული ადაპტირებული რესურსი	ბიბლიოთეკარი	დირექტორი; პროგრამის ხელმძღვანელები; პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები;ინკლუზური განათლების	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	არ დამდგარა საჭიროება
3.3.3.	ახალი საგანმანათლებლო რესურსების შემუშავება								*	*	*	*	*	*	შემუშავებულია არანაკლებ ერთი ახალი საგანმანათლებლო რესურსი	ბიბლიოთეკარი	დირექტორი; ფინანსური მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელები; პროგრამის განხორციელებაში მონაწილე	10000 ლარი/კოლეჯის ბიუჯეტიდან	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
სტრატეგიული მიზანი 4: პროფესიული სტუდენტები/მსმენელები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები																				
ამოცანა 4.1. პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უფლებების დაცვა																				
4.1.1.	კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებას კოლეჯში არსებული რეგულაციების შესახებ, აცნობს მათ უფლება მოვალეობებს და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს			*					*						საინფორმაციო შეხვედრების/მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია	სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი	დირექტორი; პროგრამის ხელმძღვანელები; მოდულის განმახორციელებელი პირები	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
ამოცანა 4.2. პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მხარდაჭერა																				

4.2.1.	ექსტრაკურიკულური/არაფორმალური აქტივობების წახალისება და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*		*	წელიწადში მინიმუმ 2 აქტივობა; ღონისძიების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	დირექტორი; სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელები; ფინანსური მენეჯერი; კოლეჯის პერსონალი	2000 ლარი/კოლეჯის ბიუჯეტიდან	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
4.2.2.	მუდმივად განახლებადი დასაქმებისა და კარიერული ხელშეწყობის სოციალური გვერდის მართვა/ადმინისტრირება	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*		*	სოციალურ ქსელში შექმნილია სპეციალური გვერდი, სადაც მუდმივად ახლდება ინფორმაცია კარიერული განვითარების, დასაქმების შესახებ და სხვა	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	დირექტორი; სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
4.2.3.	პროფესიულ სტუდენტებისთვის /მსმენელებისათვის დასაქმებაზე ორიენტირებული შეხვედრების/ტრენინგ-კურსების განხორციელება/მონაწილეობის მიღება					*	ს	ს	ს	ს	*	ს	ს	ს	მინიმუმ 2 ტრენინგ-კურსი წელიწადში; ტრენინგის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	დირექტორი; სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი; კოლეჯის პერსონალი საკუთრი კომპეტენციის ფარგლებში	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
4.2.4.	პროფესიული სტუდენტებისათვის გამოცდილების გაზიარების მიზნით წარმატებული ადამიანების ბიზნესმენების/მეწარმეების/დარგის პროფესიონალების მოწვევა				*				.	*					მინიმუმ 2 შეხვედრა წელიწადში; შეხვედრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	დირექტორი; სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი; ფინანსური მენეჯერი; კოლეჯის პერსონალი საკუთრი კომპეტენციის ფარგლებში	500 ლარი/კოლეჯის ბიუჯეტიდან	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
სტრატეგიული მიზანი 5. უსაფრთხო სამუშო და სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა																				
ამოცანა 5.1. ადმინისტრაციული პერსონალის, პროგრამის განმახორციელებელი პირების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ინფორმირება უსაფრთხოების წესების შესახებ																				
5.1.1.	სახანძრო უსაფრთხოების წესების გაცნობა, ინსტრუქტაჟი			*	*						*				ინსტრუქტაჟის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი	დირექტორი; ფინანსური მენეჯერი; კოლეჯის პერსონალი საკუთრი კომპეტენციის	10000 ლარი/კოლეჯის ბიუჯეტიდან	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
5.1.2.	შრომის უსაფრთხოების წესების გაცნობა, ინსტრუქტაჟი			*	*						*				ინსტრუქტაჟის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი	დირექტორი; ფინანსური მენეჯერი; კოლეჯის პერსონალი საკუთრი		კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
5.1.3.	ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რეგულაციების დაცვა, დაინტერესებული მხარეების ინფორმირება/ინსტრუქტაჟი	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	ინსტრუქტაჟის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი	დირექტორი; ფინანსური მენეჯერი; კოლეჯის პერსონალი საკუთრი კომპეტენციის ფარგლებში		კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
5.1.4.	სანიტარულ ჰიგიენური ნორმების კონტროლი/დაცვა	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	ჰიგიენური ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი	დირექტორი; ფინანსური მენეჯერი; კოლეჯის პერსონალი საკუთრი		კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
სტრატეგიული მიზანი 6. საზოგადოებასთან ურთიერთობა და სოციალური პროექტები																				
ამოცანა 6.1. საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება																				

6.1.1.	პროფორიენტაციის შეხვედრების დაგეგმვა/განხორციელება									*	*	*	*	*	შეხვედრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	დირექტორი; სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელები; პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
6.1.2.	კოლეჯის ცნობადობის ასამაღლებელი/სარეკლამო ღონისძიებების განხორციელება									*	*	*	*	*	კოლეჯის ცნობადობის ასამაღლებელი/სარეკლამო ღონისძიებების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია: ბრენდირებული ინვენტარის დამზადება, სოციალური	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	დირექტორი; სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; ფინანსური მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელები; კოლეჯის პერსონალი საკუთარი	1000 ლარი/კოლეჯის ბიუჯეტიდან	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
6.1.3.	კოლეჯის თანამშრომლობა კერძო კოლეჯების ასოციაციასთან	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	მონაწილეობა ერთობლივ ღონისიებებში, ტრენინგებსა და სხვა აქტივობებში	დირექტორი	კოლეჯის პერსონალი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში; ფინანსური მენეჯერი; კოლეჯის პერსონალი	720 ლარი/კოლეჯის ბიუჯეტიდან	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
6.1.4.	პარტნიორობის გაღრმავება კოლეჯის პროფილის სფეროში მოღვაწე პროფესიულ ასოციაციებთაან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	წელიწადში მინიმუმ ერთი ახალი პარტნიორი შესაბამისი აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	დირექტორი	დირექტორი; სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელები; კოლეჯის პერსონალი	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
ამოცანა 6.2. კორპორატიული კულტურისა და სოციალური პასუხისმგებლობის დამკვიდრება																				
6.2.1	გარემოზე ზრუნვა	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	მაკულატურის შეგროვების მტკიცებულებები; მაკულატურის ჩაბარების აქტები	მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი	დირექტორი; კოლეჯის პერსონალი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში	არ საჭიროებს დამატებით რესურსს	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
6.2.2.	საქველმოქმედო ღონისძიებების განხორციელება/ჩართულობა პროფესიულ სტუდენტთა და თანამშრომელთა მონაწილეობით	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	წელიწადში მინიმუმ 1 საქველმოქმედო ღონისძიება; ღონისძიების ჩატარების/ჩართულობის დამადასტრუებელი დოკუმენტაცია	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	დირექტორი; სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; ფინანსური მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელები; პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები	1000 ლარი/კოლეჯის ბიუჯეტიდან	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა
6.2.3.	სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში პარტნიორ ორგანიზაციებთან პირველადი გადაუდებელი დახმარების შრომის უსაფრთხოების ტრენინგების ორგანიზება	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	წელიწადში მინიმუმ 1 ტრენინგი. ღონისძიება;ტრენინგის ჩატარების დამადასტრუებელი დოკუმენტაცია	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	დირექტორი; სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; ფინანსური მენეჯერი; პროგრამის ხელმძღვანელები; პროგრამის	500 ლარი/კოლეჯის ბიუჯეტიდან	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	შესრულდა

6.2.4.	სოციალურად დაუცველ/მრავალშვილიან და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ პროფესიულ სტუდენტთა დახმარება	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	ს	სოციალურად დაუცველ/მრავალშვილიან და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ პროფესიულ სტუდენტთა დახმარების მტკიცებულებები: ბრძანება სწავლის საფასურისგან გათავისუფლების/შემცირების შესახებ	დირექტორი	სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი; ფინანსური მენეჯერი	2000 ლარი/კოლეჯის ბიუჯეტიდან	კოლეჯის ინფრასტრუქტურა	არ დამდგარა საჭიროება